ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის პირველი მოადგილის გიორგი ახვლედიანის საქმიანობის წლიური ანგარიში

თბილისი

2024

მოგეხსენებათ, რომ საკრებულო წარმოადგენს ქალაქის წარმომადგენლობით ორგანოს. სადაც, ყოველდღიური საქმიანობის წარმართვა ხდება როგორც საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, ასევე - „საკრებულოს რეგლამენტით“.

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ვმონაწილეობდი საკრებულოსა და ბიუროს, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- ს სხდომებში.

კომისიებში ჩემი აქტივობები:

- ✓ სარევიზიო კომისიის წევრი;
- ✓ სატრანსპორტო საკითხთა კომისიების წევრი.

ჩემი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვალია, ვუზრუნველყო როგორც მოქალაქეთა მიერ შემოსული საკითხების განხილვა და მათზე მყისიერი რეაგირება, ისე დედაქალაქის განვითარებასა და მისი უდიდესი პოტენციალის ზრდაში წვლილის შეტანა. მაქვს მუდმივი კომუნიკაცია თბილისი მოსახლეობასთან და მათთან ერთად ვცდილობ ქალაქის პრობლემების ძირეულ აღმოფხვრას.

საკრებულოს სხდომები

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 14 სხდომა.

თბილისის საკრებულოს სხდომებზე მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი იქნა შემუშავებული და დამტკიცებული.

საკრებულოს სხდომებზე განხილული საკითხებიდან აღსანიშნავია:

- ✓ 2024 წლის დედაქალაქის ბიუჯეტში ცვლილება განვიხილეთ, რომლის მიხედვითაც, ქალაქ თბილისის ბიუჯეტის მოცულობა 241 034,9 ათასი ლარით გაიზარდა და 2 044 389,6 ათასი ლარი შეადგინა.

- ✓ თბილისის მუნიციპალიტეტის სხდომაზე ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამის წესების დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ვიმსჯელეთ. დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება ,,აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში შედის. კერძოდ, მოქმედი რედაქციის თანახმად, ქვეპროგრამის ფარგლებში ამჟამად თვეში ფინანსდება 1850 ბენეფიციარი, ხოლო წარმოდგენილი პროექტით, აღნიშნული ლიმიტი 250 ერთეულით იზრდება. შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში ამიერიდან 2100 ბენეფიციარი დაფინანსდება.

- ✓ საკრებულოს სხდომაზე ასევე განხილულ იქნა თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილება.

- ✓ საკრებულოს სხდომაზე დედაქალაქის კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, რამდენიმე მისამართზე გასატარებელ ღონისძიებებს მხარი დავუჭირეთ.

- ✓ საკრებულოს სხდომაზე ვიმსჯელეთ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე

საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შატანისა და თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული გადაყვანის მიზნით (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე თბილისის საკრებულოს 2014 წლის დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ბიუროს სხდომები

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ბიუროს 24 სხდომა, სადაც ჩემი და ჩემი კოლეგების ჩართულობით მოხდა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა.

სარევიზიო კომისია

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სარევიზიო კომისიის 15 სხდომა, განხილულ იქნა 31 საკითხი და მომზადდა შესაბამისი დასკვნები.

კომისიის სხდომებზე განხილული საკითხებიდან აღსანიშნავია:

- სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და შემოწმდა 10 ორგანიზაცია. დასკვნები განხილულ იქნა სარევიზიო კომისიის სხდომაზე, ხოლო 4 ორგანიზაცია ამ დროისთვის იმყოფება შემოწმება/განხილვის ეტაპზე.

- შემოწმებულ ორგანიზაციებზე, შემოწმება-ანალიზის დასკვნიდან გამომდინარე, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად გაცემულ იქნა რეკომენდაციები. ამასთან, შემოწმება-ანალიზის დასკვნები, კომისიის გადაწყვეტილებით, გადაგზავნილ იქნა დამატებითი გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში.

სატრანსპორტო საკითხთა კომისია

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სატრანსპორტო კომისიის 16 სხდომა და განხილული იქნა 53 საკითხი.

საკითხებიდან გაგაცნობთ რამდენიმეს:

- სრულად განახლდა ავტობუსების პარკი - სატრანსპორტო კომპანიის ბალანსზეა 950 თანამედროვე სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსი;
- მიმდინარეობს ახალი საავტობუსე ბაზის მშენებლობა;
- სატრანსპორტო კომპანიის ავტოპარკს დაემატა 75 ერთეული - 18 მეტრიანი MAN ,,Lion's 18 C მარკის ავტობუსი დასრულდა რუსთაველი - მთაწმინდის დამაკავშირებელი საბაგირო გზის სრული განახლება და მშენებლობა;
- საბაგირო გზა ერთი მიმართულებით, საათში 1200 მგზავრის გადაყვანას უზრუნველყოფს;
- დაემატა 1623 პარკირებისათვის განსაზღვრული ახალი ადგილები, მათ შორის 66 შშმ პირთა პარკირებისათვის გამოყოფილი საპარკინგე ადგილი.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ფრაქციის 19 სხდომა, ხოლო განხილულ იქნა 40 საკითხი.

აქვე წარმოგიდგენთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომებზე განხილული საკითხებიდან რამდენიმეს:

- ✓ „2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“
- ✓ მიმდინარე წელს გაწეული საქმიანობის შეჯამება და საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ მსჯელობა.

მოგეხსენებათ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანამშრომლობს როგორც ქვეყნის შიგნით სხვადასხვა სამსახურებთან, წარმომადგენლობით თუ საკანონმდებლო ორგანოებთან, ისე საზღვრებს გარეთ დამეგობრებულ ქვეყნებთან. მიმდინარე წელს, ოფიციალური ვიზიტით ვიმყოფებოდი რამდენიმე ქვეყანაში, რის შედეგადაც არაერთი ჩვენი ქვეყნისა და დედაქალაქისათვის სასარგებლო პროექტის განხორციელებას ჩაეყარა საფუძველი.

მოგახსენებთ ჩემი ოფიციალური ვიზიტების შესახებ:

- **შვედეთი - 20 აპრილი 2024 წ.**

შვედეთის სამეფოში ვიმყოფებოდი ოფიციალური ვიზიტით საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს წევრებთან ერთად.
ვიზიტის ფარგლებში შვედეთის დედაქალაქის, სტოკჰოლმის მუნიციპალიტეტის საბჭოს თავმჯდომარეს, ოლლე ბურელს შევხვდით. შეხვედრისას, საქართველო-შვედეთის წარმომადგენლობით ორგანოებს შორის არსებული ურთიერთობების დინამიკა დადებითად შეფასდა და თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლისათვის ორივე მხრიდან მზაობა გამოითქვა. გამოითქვა ურთიერთთანამშრომლობის სურვილი და დავსახეთ ერთობლივი პროექტების განხორციელების გზები.

- **თურქეთი - 12 ივნისი 2024წ.**

ორდღიანი ვიზიტი თურქეთის დედაქალაქ სტამბულში თურქული მხარის ინიციატივით გაიმართა.

სტამბულში, შემდგომი ურთიერთთანამშრომლობისა და მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით საქმიანი მოლაპარაკებები და შეხვედრები გაიმართა ,,მედიკანა ჯანდაცვის ჯგუფის'' დამფუძნებელსა და საბჭოს წევრთან - ბერქ ბოზკ ურტთან. ასევე საქმიანი შეხვედრა გაიმართა საერთაშორისო დეპარტამენტის დირექტორ ბურაქ ქოსესთან და წარმომადგენლობის ხელმძღვანელ მეჰმეტ ფათიჰ თურანთან.

ვიზიტის ფარგლებში საკრებულოს დელეგაცია ,,მედიკანა ათაქოის'' გენერალურ დირექტორს, ერდალ იბანოღლუსაც შეხვდა და კლინიკები - ,, ზინჯირლი ქუიო'' და ,,მედიკანა ათაქოისი'' მოინახულა.

- **ჩინეთი - 26 ივლისი 2024წ.**

სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ცინდაოში, სადაც ქალაქის სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა კანცელარიის უფროსს ფან ციჩჟის შევხვდი.
შეხვედრა გაიმართა ასევე ცინდაოს მერის მოადგილესთან, ქალბატონ ჩჟან ჰოისთან. შეხვედრის მონაწილე მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოვაწერეთ ხელი და წლის ბოლოსთვის თბილისში ცინდაოს მერის მოადგილის საპასუხო ვიზიტზე შევთანხმდით.

დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს შუამდგომლობით, ღუდუშაურის კლინიკასა და ცინდაოს ცენტრალურ მუნიციპალურ საავადმყოფოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი.

მოქალაქეებთან შეხვედრა

მოგეხსენებათ, ჩემი, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, პირველი მოადგილისა და ასევე კომისიების - „სარევიზიო კომისია“ და „სატრანსპორტო საკითხთა კომისიის“ წევრის ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა, დედაქალაქის მოსახლეობასთან შეხვედრა და მათი პრობლემების იდენტიფიცირება, შესაბამისი კომისიისა თუ სამსახურების ჩართვა მუშა პროცესში და მათი მოგვარება.

მიმდინარე წლის სამუშაო პერიოდში მქონდა შეხვედრა რამდენიმე ათეულ მოქალაქესთან. როგორც იცით, მოქალაქეთა მიღების დღედ განსაზღვრული მაქვს - ოთხშაბათი დღე. თუმცა, საჭიროების მიხედვით, მოქალაქეთა მიღება ხდება ნებისმიერ სამუშაო დღეს.

გარდა უშუალო კომუნიკაციისა, ჩემი სამდივნო ახორციელებს მოქალაქეთა ზარების მონიტორინგს და შესაბამის შუამდგომლობას ვუწევთ თითოეულ მოქალაქეს. რაც რა საკვირველია, გვაძლევს შესაძლებლობას, მუდმივად ვიყოთ თანაჩართულები მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრების რიტმში.

დასკვნა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩემი მონაწილეობის აქტივობა

- ✓ ჩატარებული საკრებულოს სხდომა -14
- ✓ ბიუროს სხდომა - 24
- ✓ მიღებული განკარგულება - 675
- ✓ მიღებული დადგენილება - 113
- ✓ სატრანსპორტო კომისიის სხდომა -16
  განხილული საკითხები - 53
- ✓ სარევიზიო საკითხთა კომისიის სხდომა - 15
  განხილული საკითხები - 31

არ შემიძლია არ აღვნიშნო, მოქალაქეთა გულწრფელი ჩართულობა მუნიციპალიტეტის განვითარებისა და სტაბილიზაციის საკითხებში, რისთვისაც მათ ვუხდი გულითად მადლობას!